განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ოქლიფის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრ(ებ)ი:

- ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- გიორგი ნებიერიძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- ნათია ნაფეტვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ოქლიფის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215149284

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ა: 1. არასაცხოვრებელი ფართი N5, სართული -1 2. არასაცხოვრებელი ფართი N6, სართული 1 3. არასაცხოვრებელი ფართი N1, ნიშნული 3.3 4. არასაცხოვრებელი ფართი N3, ნიშნული 3.3
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://oakleaf.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	contact@oakleaf.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 200 12 43

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 21 მაისის MES 3 25 0000557374 ბრძანება

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**04.07.2025წ.**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ა: 1. არასაცხოვრებელი ფართი N5, სართული -1 2. არასაცხოვრებელი ფართი N6, სართული 1 3. არასაცხოვრებელი ფართი N1, ნიშნული 3.3 4. არასაცხოვრებელი ფართი N3, ნიშნული 3.3

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025წლის 04 ივლისს შპს ოქლიფის სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო საფეხურის პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს. ვიზიტამდე ავტორიიზაციის ექსპერტების მიერ განხილულ იქნა მიგნებები

და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ამასთანავე მოთხოვნილ იქნა რამდენიმე საგნობრივი ექსპერტის მიერ დამატებითი დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ადგილზე ვიზიტი განახორციელა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხოლო საგნობრივი ექსპერტების მიერ სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება მოხდა ონლაინ რეჟიმში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია, რომელთა მიწოდებასაც უზრუნველყოფდა დაწესებულება. ვიზიტისას შეფასდა მეორე სტანდარტი და მესამე სტანდარტის ნაწილი, რაც მოიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი კომპონენტების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დღის წესრიგის მიხედვით გასაუბრება ჰქონდა სკოლის წარმომადგენლებთან, დაათვალიერა მატერიალური რესურსი და სკოლის ინფრასტრუქტურა, შეისწავლა თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. ვიზიტი განხორციელდა თანამშრომლობით და პოზიტიურ გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
90	32

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შპს ოქლიფის სკოლა სწავლას ახორციელებს საშუალო საფეხურზე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და სრულად ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე. დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ მომსახურებას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საზღვარგარეთის

უნივერსიტეტებში ე.წ. მოსამზადებელი წლის გარეშე ჩაირიცხონ. ამ მიზნით, შპს ოქლიფის სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საერთაშორისო ორგანიზაციასთან Education Pathways Group Ltd (International Foundation Group), რომელსაც აქვს საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება. იგი ასევე თანამშრომლობს British University in Georgia-თან, რომელიც ახორციელებს Global Pathway Programme-ს. თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების მომზადებას სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესში, სპეციალური პროგრამებით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით ინტეგრირებულია საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამები. საერთაშორისო მოსამზადებელი პროგრამების წარმატებით გავლა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას შესთავაზებს მოსწავლეებს, სკოლის დასრულების შემდეგ წარმატებით ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები ან, სურვილის შემთხვევაში, თავისუფლად გაემგზავრონ სწავლის გასაგრძელებლად მსოფლიოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

შპს ოქლიფის სკოლა Unique Learning თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თავის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით სწავლა გააგრძელონ დიდი-ბრიტანეთისა და ამერიკის პრესტიჟულ სკოლებში, რამდენიმე სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, რომელთა შორისაცაა HMC, Kings Education, და ASSIST.

შპს ოქლიფის სკოლაში ასევე ხდება ინდივიდუალური მუშაობა იმ მოსწავლეებთან, ვისაც საზღვარგარეთ სურს სწავლის გაგრძელება. აღნიშნული სერვისების ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება შემდეგი აქტივობები: მოსწავლესთან და მის ოფიციალურ წარმომადგენელთან შეხვედრა; შეხვედრა და უნივერსიტეტების სიის შედგენა; განაცხადის ფორმების შევსება; უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილებისთვის მომზადება; ჩარიცხვის ეტაპებში მხარდაჭერა.

სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს პარტნიორ ორგანიზაციებთან (English Book Education, Unique Learning და ა.შ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სხვადასხვა ტრენინგებზე მასწავლებელთა დასწრება, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლა გაეცნო დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაითვალისწინა საგნობრივი ექსპერტების მიერ (სახელმწიფო ენა, ესთეტიკური აღზრდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) გაცემული რამდენიმე რჩევა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, რაშიც ასახული იყო ექსპერტთა რჩევები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილება ასახა საბოლოო დასკვნაში. კერძოდ, სტანდარტის შესაბამისად რჩევების გარეშე დადებითად შეფასდა ინდიკატორები 2.1.2.3.; 2.1.2.5.; 2.2.1.3. და 2.2.2.1.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ მისამართზე/ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა	☐	

რაოდენობა: ----------	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		*ხარვეზი რ გამოვლენილა*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

ინდიკატორი N....		*ხარვეზი არ გამოვლენილა*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების* *<u>საბაზო საფეხურის</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულების (ბრძ. N02-07/მ; 02.09.2025წ) შესაბამისად, რომელშიც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და არსებული თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები, ასევე მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის დებულების თანახმად გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე საოპერაციო მიმართულებით, დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით, საერთაშორისო მიმართულების კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციული მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი, დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, ექიმი/ექთანი, სოციალური მედიის მენეჯერი, საგნობრივი დეპარტამენტები, დამრიგებლები, ბიბლიოთეკის მენეჯერი.

აღნიშნული პირების ფუნქციები შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით გაწერილია როგორც სკოლის დებულებაში, ასევე მათთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულებით სკოლის ვებგვერდზეც (https://oakleaf.edu.ge/ka/governance/) არის საჯარო. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დასაქმებულთა შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის სტრუქტურაში წარმოდგენილი იერარქიულად განსაზღვრული სტრუქტურული რგოლები და პოზიციები გონივრულადაა ორგანიზებული, მათი ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი სკოლის დებულებაში, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 2024-2025 წარმოდგენილია მთავარი მიზნები/ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი პირები, გათვალისწინებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების ფუნქციები და მოვალეობები. **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ; 02.09.2025წ);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N02-37/მ; 15.09.2023წ.), რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, ღირებულებებს, ადამიანური რესურსების განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, პერსონალის დასაქმების ეტაპებს, ადაპტაციის წესსა და აქტივობებს, გაწერილია პერსონალის ინიციატივების წახალისების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს იმ ღონისძიებებს, რასაც სკოლა ატარებს პერსონალის პროფესიულ განვითარების მიმართულებით, გაწერილია ნაბიჯები, როგორ უზრუნველყოფს სკოლა მიმდინარე პროცესების მონიტორინგს. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით სკოლა არეგულირებს პერსონალის როგორც პროფესიულ განვითარებას, მათ მოტივაციას, კმაყოფილების კვლევის ეტაპებს, ასევე შრომითი თანამშრომლობის შეწყვეტის პირობებს. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტებს.

შპს ოქლიფის სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი (ბრძანება N02-38/მ; 08.11.2024წ), სადაც ასახულია პერსონალის სამუშაოზე აყვანის წესი, სამუშაო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, შვებულების ხანგრძლივობისა და წესის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/საბოლოო ანგარიშსწორების, წახალისების ფორმების და დისციპლინური პასუხისმგებლობის, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება მოვალეობების, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები. სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებებშიც გაწერილია დასაქმებულის ვალდებულებები და უფლებამოსილებები. პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. **ინდიკატორი 3.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

შპს ოქლიფის სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N02-37/მ 15.09.2023წ) არეგულირებს სკოლაში საჭიროებებზე მორგებულ პრევენციულ და ინტერვენციულ მექანიზმებს (მუხლი 18). ასევე სკოლის დებულებით განსაზღვრული პერსონალის სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს ურთიერთჩანაცვლების საკითხებს. პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლის სკოლაში ხანგრძლივად არყოფნის შემთხვევაში, თუ მისი მოვალეობების გადანაწილება ვერ ხერხდება შიდა კადრზე, მაშინ სკოლა უზრუნველყოფს სამუშაოზე არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას გარეშე პირით შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ დაწესებულება ორიენტირებულია თანამშრომლების შეფასებასა და განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ახდენს ანალიზს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ აცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი გერმანული ენის ვაკანტურ პოზიციაზე.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) გაზრდის მეთოდოლოგია (ბრძ. N02-09/მ; 12.03.2025წ.), რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის წესისა და პირობების განსაზღვრას და აღნიშნული პროცესის სისტემატიზაციას, სასწავლო პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფას მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში. დოკუმენტის თანახმად, სკოლა წინასწარ განსაზღვრავს კვოტის გაზრდის

შემთხვევაში, თუ როგორ გეგმავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ან მინიმუმ არსებული დონის შენარჩუნებას, ინფრასტრუქტურის ადაპტირებას (მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად), ადამიანური რესურსის მოზიდავა/განვითარებას და ფინანსური კეთილდღეობის გაზრდას, უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას. ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის რაოდენობრივი შესაბამისობის დადგენისას დაწესებულება ითვალისწინებს იმას, როგორ უზრუნველყოფს სკოლა გაზრდილი კონტიგენტის ფარგლებში მოსწავლეთა და დასაქმებულთა ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას და სასწავლო პროცესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვას. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სკოლის მენეჯმენტში დამატებითი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საჭირო რაოდენობა. აღნიშნული დოკუმენტი სკოლის დებულებასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან ერთად, არეგულირებს სკოლაში საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკას. **ინდიკატორი 3.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა (მუხლი 6) და სკოლის შინაგანაწესით (მუხლი, 4, მუხლი 5) განსაზღვრულია კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, რაც ასევე დასტურდება სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/ /სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლს მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში ცხადდება შიდა ან/და ღია კონკურსი. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება

საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.teacherjobs.ge-სა და დასაქმების სხვადასხვა პორტალზე. სკოლას მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსისათვის განსაზღვრული ჰყავს მუდმივმოქმედი კომისია. ვაკანსიის გამოცხადება ხდება შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე, განაცხადების შერჩევისა და კანდიდატებთან გასაუბრების დროს იწარმოება ოქმები. შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, გათვალისწინებულია საპრეტენზიო კომისიის შექმნა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია (ბრძანება N02-45/მ; 13.12.2023წ.). ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმები. **ინდიკატორი 3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შპს ოქლიფის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ. 2.09.2024წ), რომელშიც გაწერილია ყველა სტრუქტურული ერთეულის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლებშიც ინახებოდა შინაგანაწესით (მუხლი 6.) განსაზღვრული დოკუმენტები. კერძოდ: პირადობის მოწმობის ან მოქალაქის პასპორტის ასლი, ავტობიოგრაფია; განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი; სპეციალური ცოდნის ან მომზადების/გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაბამისი სერტიფიკატებით); უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ'', საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელი. კერძოდ: უფროსი მასწავლებელი-6, წამყვანი-2, მაძიებელი-5, მოწვეული-10. მასწავლებლები შერჩეულები არიან კონკურსის საფუძველზე, ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას ჰყავდა ექთანი. ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რამდენჯერმე გამოაცხადეს კონკურსი ექიმის

ვაკანტურ ადგილზე, თუმცა კანდიდატი ვერ იქნა შერჩეული. კონკურსი გამოცხადებული იყო საიტზე teacherjobs ge-ზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება (ბრძ. N02-17/მ. 23.04.2025წ), ასევე კონკურის ოქმები. ყოველივე ზემოთქმულის თანახმად, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია კანონმდებლობის შესაბამისობაშია.

შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. **ინდიკატორი 3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში ფუნქციონირებს ორი საგნობრივი დეპარტამენტი: 1. ენების და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი და 2. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტი. გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებები გაერთიანებული არიან ორ მსხვილ დეპარტამენტში, ეს ხელს არ უშლის მათ მიიღონ სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც გუნდურობის ხარისხის საუკეთესო გამოვლინებაა. დეპარტამენტის ყველა წევრი ჩართულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში, სხვადასხვა საგნები ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, მათ შორის გაცვლით პროგრამებში მიღებული გამოცდილების გაზიარებაც. სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ასევე საჭიროების შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფები (მაგ: ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი), საკონკურსო კომისიები მუშაობენ მონაწილეობითი და გუნდურობის პრინციპით. კომისიების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნის ბრძანებები, გასაუბრების

ოქმები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები), საგნობრივი დეპარტამენტების, ხარისხის მართვის ჯგუფის დებულების, კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის ანალიზით იკვეთება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

ინდიკატორი 3.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

შპს ოქლიფის სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში ვხვდებით წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს, რომელთა განხორციელების პროცესებზე ისაუბრა სასკოლო საზოგადოებამ. სკოლის შინაგანაწესის (ბრძ.N02-38/მ. 08.11.2024წ.) 26-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია დასაქმებულთა/მასწავლებელთა წახალისების ფორმები. სამსახურებრივ მოვალეობათა მაღალი ხარისხით შესრულებისათვის, დასაქმებულის კეთილსინდისიერების, ასევე, განსაკუთრებული სირთულის და/ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, დასაქმებულის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი ან ერთზე მეტი წახალისების შემდეგი ღონისძიებები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება (რომლის ფორმასაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი); გ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა. წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი პირადად თანამშრომლის მიერ კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წახალისება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა არაერთი მტკიცებულება. მაგ: ბრძანებები შპს ოქლიფის სკოლის თანამშრომლისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ (ბრძ. N02-13/მ; 10.09.2024წ). სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პრემიისთვის განკუთვნილი თანხა. სკოლის მიერ წახალისებულია გამოცდილების გაზიარების მექანიზმი. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილოება და მიღებული გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად (მე-17 მუხლი) აღიარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანური რესურსების მართვის პროცესში. სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით შესაძლებლია ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა, ვებგვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსდეს ინფორმაცია და

ა.შ. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, წარმატების აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციისა და ერთიანობის განცდისთვის.
ასევე სკოლის დებულებით (მე-10 მუხლი) განსაზღვრულია საგნობრივი დეპარტამენტის ფუნქციები, მათ შორის არის დეპარტამენტის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორი 3.1.2.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (ბრძანება N02-38/მ; 08.11.2024წ);
- შპს ოქლიფის სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N02-37/მ 15/09/2023წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- წესდება;
- სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ. 2.09.2024წ);
- მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) გაზრდის მეთოდოლოგია (ბრძანება N02-09/მ; 12.03.2025წ);
- საკონკურსო ოქმები;
- მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- შპს ოქლიფის სკოლის თანამშრომლისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ (ბრძ. N02-13/მ; 10.09.2024წ);
- სკოლის ბიუჯეტი;
- ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N02-04/მ; 01.09.2023წ;
- ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- საგნობრივი დეპარტამენტის დებულება;
- საგნობრივი დეპარტამენტის ოქმები;
- მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის დანიშვნის შესახებ ბრძანება N02-45/მ 13.12.2023წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

(3.4 კომპონენტი ივსება მხოლოდ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის
დამატების დროს.)

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო**

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ვინაიდან საბაზო საფეხურის პროგრამა იმავე მუნიციპალიტეტში (თბილისში) განხორციელდება, აღნიშნული კომპონენტი არ ივსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს ოქლიფის სკოლა განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ, #33ა-ში და სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სარგებლობს ჯამში 565 კვ.მ ფართით. მათ შორის როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, შპს ოქლიფის სკოლის საკუთრებას წარმოადგენს ცალკე მდგომი ორსართულიანი შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 274,6 კვ.მ (საკადასტრო კოდები: 01.14.14.012.003.01.501 და 01.14.14.012.003.01.502). გარდა ამისა, სკოლას 2029 წლის 30 ივნისამდე დროებით სარგებლობაში (ავტორიზაციის ვადით) - იჯარით აქვს აღებული შპს „თერგი XXI”-გან 156 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი 01.14.14.012.003.01.503) და 133.6 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი 01.14.14.012.003.01.505). ეს არის მრვალსართულიანი შენობის პირველი სართული.

ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სამზარეულო, ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე სართულზე განთავსებულია 4 საკლასო ოთახი ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის. ასევე მეორე სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის, რომელსაც სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება გამოიყენებს რესურსოთახად.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია სადემონსტრაციო მულაჟებით, ექსპერიმენტებისთვის საჭირო ინვენტარით, რეაქტივებით და რესურსებით. ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები: ექსპერიმენტისთვის სპეციალური სათვალეები, ხელთათმანები, სახანძრო გადასაფარებელი. ლაბორატორიას აქვს ლაბორატორული კარადა გამწოვით. მკაცრად დაცულია რეაქტივების შენახვის წესი, აალებადი ნივთიერებები ინახება

ცეცხლგამძლე კარადაში, ხოლო რეაქტივების კარადა იკეტება და დაცულია მათი შენახვის წესები. ოთახში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. დაწესებულებამ წარმოადგინა ლაბორატორიისთვის განკუთვნილი რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია.

რაც შეეხება მრავალსართულიანი შენობის სივრცეს (საკადასტრო კოდი 01.14.14.012.003.01.503), მასში განთავსებულია 3 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა (წიგნსაცავი და სამკითხველო სივრცე გამოყოფილია ერთმანეთისგან), არქივისთვის განკუთვნილი სივრცე. ამავე სივრცეშია სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის, ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის.

მრავალსართულიანი შენობის სივრცე, რომელიც დაიმატა დაწესებულებამ, მასში განთავსებულია საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, პატარა ბიბლიოთეკა ინგლისურენოვანი ლიტერატურით, ღია სივრცე, რომელშიც იმართება სხვადასხვა აქტივობები, შემეცნებითი ღონისძიებები.

მოსწავლეთათვის სასწავლო პერიოდში სპორტული მოედნით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით 2025 წლის 2 აპრილს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,იბერია ქონსტრაქშენსა“ და შპს ოქლიფის სკოლას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი განუსაზღვრელი დროით. აღნიშნული მოედანი ფაქტობრივად სკოლის ტერიტორიას ემიჯნება. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება დახურული სპორტული მოედნის სარგებლობასთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში სკოლაში ირიცხებოდა 32 მოსწავლე (არ ჰყავს სსსმ მოსწავლე), სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს არამარტო ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (90 მოსწავლე), არამედ სკოლის მიერ მოთხოვნილი 135 მოსწავლის საგანამანათლებლო მომსახურებას. **ინდიკატორი 3.5.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი, რომლის მიზანია მოსწავლეთათვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომის, უსაფრთხო და მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფით სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ციფრული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა და ტექნიკური რესურსების დაცვის უზრუნველყოფა. ასევე სკოლის პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების ეფექტური, მიზნობრივი და

უსაფრთხო გამოყენების უზრუნველყოფა როგორც ადმინისტრაციული/სასწავლო, ასევე პროფესიული განვითარების მიზნით.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლის ლაბორატორიის დებულება, რომლის მიზანია უზრუნველყოს ლაბორატორიის ეფექტურად და უსაფრთხოდ გამოყენება. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამართული მუშაობის ძირითადი მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის პროცესს. სკოლის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინირებას ახორციელებს სკოლის ბიბლიოთეკის მენეჯერი მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ–კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა 09:00 საათიდან 16.00 საათამდე. **ინდიკატორი 3.5.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. წიგნსაცავი იზოლირებულია სამკითხველო სივრცისგან. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა ქართული და ინგლისური (IB) სექტორის მოსწავლეებისთვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, ელექტრონული წიგნები, მხატვრული, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალები. ბიბლიოთეკაში არის 1496 წიგნადი ერთეული. ბიბლიოთეკა აღნიშნული მატერიალური და ელექტრონული ლიტერატურითა და რესურსებით უზრუნველყოფის გზით ხელს უწყობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა განვითარებას.

სკოლაში დანერგილია ელექტრონული კატალოგი Open Biblio ქართული სექტორის წიგნებისთვის. როგორც ბიბლიოთეკის მენეჯერთან გასაუბრებით დასტურდება, IB პროგრამისთვის განკუთვნილი წიგნების დამუშავება ხდება IB პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებისას ყველა წიგნი იყო საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავებული. ბიბლიოთეკის მენეჯერი მუშაობას წარმართავს მის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით და წლის ბოლოს აკეთებს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი 3.5.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე. ამის მიუხედავად, სკოლას აქვს შესაძლებლობა სრულფასოვანი სასწავლო სერვისი შესთავაზოს სსსმ მოსწავლეს, რამდენადაც შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ პირის მომსახურებისთვის. კერძოდ, ცალკე მდგომ ორსართულინ შენობაში მეორე სართულზე შესვლა ეტლით მოსარგებლეს შეუძლია როგორც გარეპანდუსის გამოყენებით, რაც სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას დადებითად იქნა შეფასებული, ასევე შიდა კიბიდან შშმ პირს გადაადგილება შეუძლია სპეციალურად ადაპტირებული ელექტრონული ეტლის მეშვეობით (ეტლს აქვს სპეციალური საჭიდები კიბეებზე უსაფრთხოდ გადასაადგილებლად). მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა საერთო სარგებლობის სივრცით. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ცალკე მდგომი ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, მრავალსართულიანი შენობის პირველ სართულზე კი კომპიუტერების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და ექიმის კაბინეტი, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი ორივე შემთხვევაში პირველ სართულზეა. საგულისხმოა ისიც, რომ სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა გამოყოფილი სივრცე რესუროთახისთვის, თუმცა საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული აქვს ეს სივრცე მეორე სართულზე, ვიზიტის პერიოდში სკოლა მომსახურების ხელშეკრულებით თანამშრომლობდა ფსიქოლოგთან, რომელიც მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად უწევს სკოლას დახმარებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი 3.5.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლაში მოწყობილია მოსასვენებელი სივრცეები, სადაც მოსწავლეებსა/თანამშრომლებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, მოაწყონ შემეცნებითი შეხვედრები და სხვა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (კომპიუტერი, პრინტერი), მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ლიტერატურას, მოიძიონ ინფორმაცია, მოაწყონ საგანმანათლებლო ღონისძიებები, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, სკოლის სოციალური გვერდით - https://www.facebook.com/oakleafschooltbilisi/ დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტურქტურა უზრუნველყოფს სკოლის

სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღვნიშნავთ, რომ **ინდიკატორი 3.5.1.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიის დებულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის მენეჯერის სამოქმედო გეგმა;
- ბიბლიოთეკის მენეჯერის წლიური ანგარიში;
- ბიბლიოთეკის მენეჯერთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ფსიქოლოგთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა;
- ფსიქოლოგის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

შპს ოქლიფის სკოლაში კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია როგორც ლაბორატორიაში, ასევე კლასებსა და ადმინისტრაციულ სივრცეებში, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრირების უწყვეტ მხარდაჭერას. სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების დოკუმენტაცია კომპიუტერების, ლეპტოპების, პროექტორების, ეკრანების, პრინტერების, აუდიომოწყობილობებისა და სხვა ტექნიკის შეძენის შესახებ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, სკოლის მფლობელობაშია 22 პერსონალური კომპიუტერი და 10 ნოუთბუქი (სულ, 32), ასევე 3 პრინტერი, 1 პროექტორი, 8 დინამიკი და 7 CD წამკითხველი. სკოლაში არსებობს საკლასო ოთახებში განთავსებული 14 ტელევიზორი, რომელიც ასრულებს პროექტორის ფუნქციასაც. აღნიშნული მატერიალური რესურსები ემსახურება სასწავლო მიზნებსა და ადმინისტრაციულ ფუნქციონირებას. ამასთან, ინფრასტრუქტურა ტექნიკურად გამართულია: სკოლაში ფუნქციონირებს უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის არსებობა დასტურდება კომპანია „მაგთისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით. ასევე სკოლა აქვს ტექნიკური მხარდაჭერისა და გამოწვევების დროული მოგვარების გაწერილი პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სისტემის გამართულ მუშაობას. დოკუმენტურად და შინაარსობრივად, აშკარაა, რომ ინფრასტრუქტურა რეალურად ფუნქციონირებს და ეფექტიანად ემსახურება სკოლის ძირითად საქმიანობას. სკოლის მხრიდან საავტორიზაციო პროცესში წარმოდგენილია დეტალური რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები, რომლის მიხედვითაც არსებული ინფრასტრუქტურა მოიცავს პერსონალურ

კომპიუტერებს, ლეპტოპებს (HP, Lenovo, Asus), პროექტორებს, Panasonic ეკრანებს, პრინტერებს (HP, Konica), დინამიკებსა და კამერების ქსელურ სისტემას. სკოლის ტექნიკური მენეჯერი უზრუნველყოფს ადმინისტრაციის ოთახების ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვას და მათ გამართულ მუშაობას (პერსონალური კომპიუტერით, პრინტერით, ინტერნეტით, საკონფერენციო ჩართვის მოწყობილობებით და ა.შ.). აღნიშნული დასტურდება სკოლის დებულებით და ტექნიკურ მენეჯერთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. **ინდიკატორი 3.6.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

შპს ოქლიფის სკოლის ვიზუალური დათვალიერებისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. მათ გამოყენებას არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს წვდომისა და გამოყენების ძირითად პრინციპებს, უსაფრთხოების წესებს, ეთიკურ სტანდარტებსა და ზედამხედველობის მექანიზმებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლებისთვის განკუთვნილი ტექნიკის თანმიმდევრულ და მიზნობრივ გამოყენებას, ამასთან, ხელს უწყობს თანასწორი წვდომის უზრუნველყოფის კულტურის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
- შპს ოქლიფის სკოლის კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი;
- ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ. 2.09.2024წ);
- ტექნიკური მენეჯერის ხელშეკრულება;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

შპს ოქლიფის სკოლაში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ბრძანება N02-08/; 02.09.2024წ), რომელიც შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებისა და მართვის ციკლს. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს პროცესის ყველა ეტაპს - დაწყებული კორესპონდენციის მიღებითა და რეგისტრაციით, დასრულებული დოკუმენტების შენახვის, დამოწმებისა და გაცემის წესებით. საქმისწარმოების წესი მოიცავს დოკუმენტაციის სამ ძირითად კატეგორიას: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია, თითოეულს კი მიენიჭება მკაფიო რეგისტრაციის პროცედურა, ინდექსური კოდირება და დოკუმენტაციის დამუშავების თანმიმდევრული წესი. დოკუმენტბრუნვის პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური დოკუმენტაციის აღრიცხვას, კონტროლსა და მართვას. პარალელურად სკოლა იყენებს როგორც ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას („სქულ მენეჯმენტ სისტემს“), ასევე აწარმოებს დანომრილ, აკინძულ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალებს, რომელთა შორისაა შრომითი ხელშეკრულებების, დირექტორის საერთო და მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები. დამატებით, წესით განსაზღვრულია მოთხოვნები ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ოქმების წარმოებასა და სკოლის სატიტულო ფურცლის სტანდარტულ ფორმატზე. აღნიშნული პრაქტიკა და დოკუმენტური წესრიგი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ შპს ოქლიფის სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება სამართლებრივად გამართული და შესაბამისობაში მყოფი სტანდარტების დაცვით. **ინდიკატორი 3.6.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

შპს ოქლიფის სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია აისახება როგორც ადმინისტრაციულ, ისე დოკუმენტურ მართვაზე. თანამშრომლებში ინფორმაციისა და კორესპონდენციის გასავრცელებლად სისტემატურად გამოიყენება კორპორაციული ელექტრონული ფოსტა, ხოლო დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურებულია სკოლისა და შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემს"-ს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელიც ასახავს სკოლის მიერ „School Management System"-ის ლიცენზირებულად გამოყენების უფლებას. დოკუმენტის თანახმად, ეს სისტემა ფარავს შიდა სასკოლო დოკუმენტაციის ელექტრონული რეგისტრაციის სრულ ციკლს, რაც უზრუნველყოფს სკოლაში პროცესების გამჭვირვალობასა და ოპერატიულობას. სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი მიუთითებს, რომ სკოლის დოკუმენტაცია რეგისტრირდება „სქულ მენეჯმენტ სისტემს"-ში, ხოლო მნიშვნელოვანი კორესპონდენცია იტვირთება სისტემაში როგორც შემოსული, ისე გასული დოკუმენტაციის სახით. აღნიშნულ სისტემაში ინახება ბრძანებები, წერილები, ცნობები და სხვა ადმინისტრაციული აქტები. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებითაც. საჭიროებების კვლევისათვის გამოიყენება Google Forms პლატფორმა. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სწრაფი ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შპს ოქლიფის სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რაც არსებითად აძლიერებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, შიდა ადმინისტრირების ეფექტიანობასა და დოკუმენტური პროცესების მოწესრიგებას. **ინდიკატორი 3.6.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

შპს ოქლიფის სკოლას აქვს რეგისტრირებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge, რაც დასტურდება ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერებით. პროფილში ასახულია სკოლის იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსის სრული მონაცემები: მისამართი, იურიდიული ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. პროფილში შეყვანილია სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები. სისტემა გამოიყენება მოსწავლეთა მობილობის, ადმინისტრაციული განაწილების და საკონტაქტო ინფორმაციის განახლებისთვის. სისტემაზე წვდომა გააჩნია დირექტორის მოადგილეს საოპერაციო მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვის უწყვეტობას და ინფორმაციული რესურსების დროულ განახლებას. შესაბამისად, დასტურდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება ზოგადი განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემა, რაც აძლიერებს პროცესების ადმინისტრაციულ გამჭვირვალობას. **ინდიკატორი 3.6.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

შპს ოქლიფის სკოლა საქმიანობს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მარეგულირებელი უწყებებისთვის ანგარიშგებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცესის ეფექტურობას. სკოლას განსაზღვრული აქვს რეაგირების სტანდარტული ვადები და ფორმატები, რაც ცხადად მიანიშნებს პროცესის სისტემურობაზე. სკოლა თანამშრომლობს შესაბამის რაიონულ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მეშვეობითაც წარმართავს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან. აღნიშნული ურთიერთობა მოიცავს როგორც კონსულტაციებსა და ნებართვების შეთანხმებას, ასევე ინფორმაციის მიწოდებას ფინანსური, ადმინისტრაციული ან სტრუქტურული ხასიათის საკითხებზე. კერძოდ:

- სკოლა ვაუჩერული დაფინანსების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს რესურსცენტრს პერიოდულად;
- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას ტვირთავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე (www.saras.gov.ge);
- ხოლო საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დეკლარაციებს რეგულარულად წარადგენს შემოსავლების სამსახურში.

აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ შპს ოქლიფის სკოლა სისტემატურად, დროულად და ეფექტურად აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო და დარგობრივ ინსტიტუტებს, რაც წარმოადგენს გამართული ადმინისტრაციული ურთიერთობის მაგალითს კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტში. **ინდიკატორი 3.6.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (ბრძანება N02-08/; 02.09.2024წ);

- ხელშეკრულება №1507-4 (School Management System-ის ლიცენზიის გადაცემის ხელშეკრულება);
- შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ (27.08.2024, School MS-სთან გაფორმებული);
- საქმისწარმოების სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

შპს ოქლიფის სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სისტემას საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. სკოლას გააჩნია აქტიური ოფიციალური ვებგვერდი (www.oakleaf.edu.ge), რომელზეც განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია როგორც დაწესებულების შესახებ (სტრუქტურა, გუნდი, მისია/ხედვა), ასევე კონკრეტული სასწავლო აქტივობების შესახებ. ვებგვერდის სტრუქტურა ხელს უწყობს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდებას - მათ შორის: მიღების წესები, სიახლეები, პარტნიორები და სხვა. ვებგვერდის პარალელურად, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, მათ შორის Facebook, Instagram და YouTube არხს, რომლებიც ემსახურება როგორც ინფორმირებას, ისე სწრაფ რეაგირებას. Facebook გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება სკოლის აქტივობები, ღონისძიებები, მიღწევები. Instagram პლატფორმა უზრუნველყოფს ვიზუალურ კომუნიკაციას, YouTube არხი კი ვიდეომასალების შენახვასა და საჯარო ხელმისაწვდომობას. ამასთან, სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სკოლის კორპორატიულ ელფოსტას და პირად კომუნიკაციას (ზარები, შეხვედრები) - რაც მიუთითებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებით არ შემოიფარგლება, არამედ ინტეგრირებულია სასკოლო მენეჯმენტის ყოველდღიურ საქმიანობაში. **ინდიკატორი 3.6.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შპს ოქლიფის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სანდო და შინაარსობრივად ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას. საინფორმაციო კომუნიკაციის ძირითადი არხებია: სკოლის ვებგვერდი (www.oakleaf.edu.ge), სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, YouTube) და კორპორაციული ელფოსტა. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებული სოციალური მედიის მენეჯერი, რომელიც ინფორმაციას ამუშვებს სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებზე ინფორმაციის განთავსების წვდომა შეზღუდულია, რაც უზრუნველყოფს შინაარსის კონტროლსა და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების პრევენციას. ინფორმაციის განთავსება ხორციელდება თანმიმდევრულად და გონივრულ ვადებში. შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესი არის რეგულარული და ადმინისტრაციულად კონტროლირებადი, რაც უზრუნველყოფს სანდოობის მაღალ სტანდარტს. **ინდიკატორი 3.6.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

შპს ოქლიფის სკოლა უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და გაანალიზებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან, მათ შორის მშობლების, მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისგან. უკუკავშირის მიღების პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე საკომუნიკაციო არხი: სოციალური ქსელები, ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, ასევე პირისპირ შეხვედრები და ონლაინ გამოკითხვები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ პრაქტიკაში დანერგილია სასკოლო საზოგადოების პერიოდული გამოკითხვა, რაც მოიცავს როგორც კმაყოფილების დონის მონიტორინგს, ისე რეკომენდაციების შეგროვებას. მიღებული მონაცემები გამოიყენება სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის მოპოვება არ არის ფორმალური, იგი მჭიდროდ უკავშირდება სკოლის შიდა თვითრეფლექსიურ პროცესს. სკოლის ერთ-ერთ ძლიერ პრაქტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადმინისტრაციის ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ აქტიური თანამშრომლობისა და რეაგირების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 3.6.3.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

შპს ოქლიფის სკოლას აქვს მოქმედი ოფიციალური ვებგვერდი - www.oakleaf.edu.ge, რომელიც წარმოადგენს სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად პლატფორმას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე და მოცემულია საჯარო მონაცემები სკოლის მისიის, ხედვის, ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო გარემოსა და აქტივობების შესახებ. ვებგვერდიდან შესაძლებელია წვდომა სკოლის ოფიციალურ სოციალურ პლატფორმებზე: Facebook გვერდზე, YouTube არხზე, Instagram გვერდზე.

სკოლის შესახებ საბაზისო საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზეც - skolebi.emis.ge-ზე განთავსებულ პროფილში, რაც დამატებით უზრუნველყოფს სკოლის გამჭვირვალობას. სკოლა ამჟამად ახორციელებს სწავლების პროცესს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ვებგვერდზე სავალდებულოა ინფორმაციის არსებობა ქართულად - რაც სრულად დაკმაყოფილებულია. სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის პერიოდულ განახლებას და საინფორმაციო შინაარსის ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

შპს ოქლიფის სკოლას აქვს ვებგვერდი (www.oakleaf.edu.ge), სადაც საჯაროდ არის განთავსებული როგორც სკოლის შესახებ ძირითადი და განმსაზღვრელი შიდამარეგულირებელი დოკუმენტები (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა), ისე ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკვანძო ინფორმაცია.

ვებგვერდზე ხელმისაწვდომია:

- საგანმანათლებლო პროგრამების დასახელებები და ჩარიცხვის პროცედურები;
- კვალიფიკაციის სახეობა (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები და წესები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების აღწერა;
- გასაჩივრების მექანიზმები;

- ფინანსური მდგრადობის შესახებ საჯარო ანგარიში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების მიმოხილვა;
- საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენაზე და განთავსებულია გონივრულ და აღქმად ფორმატში. შინაარსი მიზნობრივად პასუხობს სკოლის კომუნიკაციის ფუნქციასა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ოქლიფის სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (ბრძ. 26.12.2023, N02-56/მ);
- სკოლის ვებგვერდი: oakleaf.edu.ge;
- Facebook, Instagram და YouTube არხები;
- გამოკითხვის ფორმები;
- გამოკითხვის ანგარიშები (ანალიზი);
- სოციალური მედიის მართვის პასუხისმგებელი პირის (სოციალური მედიის მენეჯერი) სამუშაოს აღწერა;
- სოციალური მედიის მენეჯერის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის სოციალური ვებგვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები - 2024-2025 წლების ბიუჯეტი (Budget Oakleaf 24-25.xlsx) და ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმი (ბრძანება N02-15/მ; 25.03.2025წ.) ადასტურებს, რომ ბიუჯეტი ერთმნიშვნელოვნად ითვალისწინებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებს. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს:

- განათლების პროცესის მხარდაჭერის ხარჯებს (სასწავლო რესურსები);
- პერსონალის ხელფასებსა და მოტივაციის მექანიზმებს;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე საჭირო რესურსების შესყიდვას;
- ინფრასტრუქტურულ და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა მიზნობრივად იყენებს ფინანსურ რესურსებს სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად. ბიუჯეტის სტრუქტურა ადეკვატურად პასუხობს სამოქმედო გეგმასთან მიმართების მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ასევე ბრძანებები პერსონალის სამივლინებო ხარჯების დაფინანსების შესახებ. აღნიშნული დასტურდებოდა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც. ამდენად, **ინდიკატორი 3.7.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტი „ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმი“ აღწერს ფინანსური რესურსების მართვის სრულ ციკლს, კერძოდ:

დაგეგმვა: საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა სექტემბერში, წინა წლის ანალიზის საფუძველზე; მოსალოდნელი შემოსავლების პროგნოზი (მოსწავლეთა დინამიკა, გადახდების შეფასება);
განკარგვა: პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და დაფინანსება; დამატებითი საჭიროებების დაფინანსების ინიცირება;
მონიტორინგი და კონტროლი: კვარტალური შემოსავალ-ხარჯის შედარებითი ანალიზი და ბიუჯეტის კორექტირება; დავალიანების მართვა ყოველთვიურად; ბუღალტრული ანგარიშგება და SARAS-ს პლატფორმაზე წარდგენა;
რისკების მართვა: დეტალური მოდელი შიდა და გარე საფინანსო რისკების იდენტიფიკაციისა და მართვისთვის; მექანიზმები რისკის აღმოფხვრისა და შემცირებისთვის;
მდგრადობის გარანტია: საჭიროების შემთხვევაში, დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალის შევსება.
ასეთი დეტალური და მოქმედი სისტემა ადასტურებს, რომ სკოლის ფინანსური მართვა სტრუქტურულად გამართული და გრძელვადიან მდგრადობაზეა ორიენტირებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.7.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება შპს ოქლიფის სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (02.09.2024, ბრძ.N02-09/მ);
- სკოლის 2024–2025 წლების ბიუჯეტი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ფინანსური ანგარიშგება (SARAS-ისთვის წარდგენილი ფორმატით);
- ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმი (ბრძანება შპს ოქლიფის სკოლის ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმის დამტკიცების შესახებ (25.03.2025, ბრძ.N02-15/მ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -ზოგადი განათლების <u>**საბაზო საფეხურის**</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიით (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.) რეგულირდება შპს ოქლიფის სკოლის კურიკულუმ(ებ)ის შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის პროცედურები და პირობები. დოკუმენტით განსაზღვრულია სტურუქტურული ერთეულების/პირის როლი და ფუნქცია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული მხარეები არიან: მასწავლებელი, დეპარტამენტი, სკოლის მენეჯმენტი, მოსწავლე, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; ხოლო საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი, სასკოლო საზოგადოების დაკვეთისა და სკოლის ფილოსოფიის გათვალისწინებით.

დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავება/განვითარების პროცესში განსაზღვრულია ჩართული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და პასუხისმგებლობები: კერძოდ: მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შემთხვევაში - გამოკითხვა და/ან ფოკუსჯგუფი და/ან უკუკავშირები; სკოლის მენეჯმენტის შემთხვევაში - მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მეორადი მონაცემების შესწავლა/შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით; დეპარტამენტების შემთხვევაში - მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმების განხილვა და კურიკულუმში საგნობრივი ინტეგრირების, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების და მასწავლებელთა რეფლექსიაზე დაფუძნებით შემუშავებული გაუმჯობესების რეკომენდაციების, ასევე სკოლის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და გამოკითხვების და/ან ფოკუსჯგუფების და/ან უკუკაშირების დამუშავებით მიღებული მიგნებების ასახვა კურიკულუმებში. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია; მასწავლებლის შემთხვევაში - საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება, შემუშვებული კურიკულუმის დანერგვა და დანერგვის

პროცესის თვალის მიდევნება - საგაკვეთილო პროცესის და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზის, მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით კურიკულუმის განვითარება. აღნიშნული მიდგომები დასტურდება სკოლის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან გასაუბრებით, რამდენადაც მათ ამის გამოცდილება უკვე აქვთ საშუალო საფეხურზეც. დაწესებულების მიერ შემუშავებულია ასევე კითხვარები, რომელთა მიზანია გამოიკვლიოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმში ასახული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას ჯერ არ ჰყავს საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ამიტომ მათი და მშობლების ინტერესები ვერ იქნება კურიკულუმში ასახული. თუმცა, სკოლას კარგად აქვს გააზრებული ამის განხორციელების მექანიზმი, რაც დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან, სკოლის დირეაქციასთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ,,კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.) თანახმად, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული მხარეები არიან: მასწავლებელი, დეპარტამენტი, სკოლის მენეჯმენტი, მოსწავლე, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი, სასკოლო საზოგადოების დაკვეთისა და სკოლის ფილოსოფიის გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა საგანამანათლებლო პროგრამას ახორციელებს საშუალო საფეხურზე და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული ჰყავდა სრულად სასკოლო საზოგადოება, შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო კურიკულუმი არის სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, რამდენადაც სკოლის ფილოსოფია არის ამოსავალი სასკოლო კურიკულუმის შინაარსობრივი ფორმირებისთვის, რადგან კურიკულუმით გათვალისწინებული საგნები ემსახურება საგნობრივი ჯგუფების მიზნების რეალიზებას, მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას და სკოლის მისიისა და ხედვის მიღწევას. როგორც სკოლის პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, კურიკულუმები შემუშავებული და განხილულია საგნობრივი დეპარტამენტების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

გამომდინარე იქიდან, რომ საბაზო საფეხურზე სკოლას ჯერ არ ჰყავს მოსწავლეები, სასკოლო კურიკულუმის გაზიარება სრულად სასკოლო საზოგადეობისთვის არ განხორციელებულა. თუმცა სკოლას აქვს ეს მექანიზმი პრაქტიკაში საშუალო საფეხურზე და გეგმავს ამ გამოცდილების გადმოტანას საბაზო საფეხურზეც. სკოლის თვითშეფასების კითხვარის დოკუმენტების ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სკოლის პედაგოგებთან, ხოლო საგნობრივი და სასკოლო კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ მოხდება სასწავლო წლის დასაწყისში. ამასთანავე, როგორც კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით არის განსაზღვრული, სკოლის მენეჯმენტი და სანგობრივი დეპარტამენტები ხელს უწყობენ მშობლების ინფორმირებას კურიკულუმის შესახებ, რათა უკეთ გაიგონ, რას და როგორ სწავლობენ მათი შვილები და როგორ შეუძლიათ ხელი შეუწყონ მათ განათლებას.

დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენოს გამოკითხვის მეთოდი, რისთვისაც შემუშავებული აქვს კითხვარები. მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შეუძლიათ შეავსონ კითხვარები, რათა დაფიქსირდეს მათი მოსაზრებები კურიკულუმის ეფექტურობასთან დაკავშირებით. ნებისმიერი უკუკავშირის გაანალიზება მოხდება საგნობრივი დეპარტამენტებისა და სკოლის მენეჯმენტის მიერ კურიკულუმის განვითარებისთვის. ასევე მონიტორინგის ინსტრუმენტად სკოლა განიხილავს ფოკუსჯგუფებს, რომელთა დაორგანიზება შესაძლებელია მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ფოკუსჯგუფებად, რათა დაზუსტდეს მათი მოსაზრებები კურიკულუმთან მიმართებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.);
- სასკოლო კურიკულუმი;
- საგნობრივი დეპარტამენტის დებულება;
- საგნობრივი დეპარტამენტის ოქმები;
- კითხვარების ფორმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზო საფეხურზე. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გეგმას, რომელიც ეყრდნობა სავალდებულო თემებს, გრძელვადიან და შუალედური მიზნებს, იკითხება მიზნების მიღწევის მეთოდური გზის ორიენტირები. კურიკულუმებში ასახულია რესურსები, რაც უზრუნველყოფს საგნის სპეციფიური სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ-ის პრინციპებზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, რის მიხედვით ასახულია მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი და საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგზე გავიდეს, რაც ასევე მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	საბაზო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს VII, VIII, IX და X კლასების საგნობრივი კურიკულუმები პირველ (ინგლისური) და მეორე (გერმანული) უცხოურ ენებში. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტებში მეორე უცხოურ ენად სკოლას მითითებული ჰქონდა იაპონური ენა, თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება (ბრძ. N02-28/მ; 30.06.2025წ.) და განახლებული სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია მეორე უცხოური ენის (გერმანულის) ჩანაცვლების ფაქტი. წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები, მასში

	მრავლადაა მოცემული შემოქმედებითი ბუნების ტიპის დავალებები, რაც მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელდება თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპების გათვალისწინებით. სკოლა, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ახორციელებს პირველი უცხოური ენის (ინგლისურის) ინტენსიურ კურსს. აღნიშნულის დასტურია ის ფაქტი, რომ სკოლას შერჩეული აქვს არაგრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც შესაბამისი წესის დაცვით შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (MES 6 25 0000381354; 07/04/2025). **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის პრინციპებს და მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზი და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. შუალედური მიზნის შესამოწმებელი დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. შემოქმედებითი დავალებების გამოყენება ხელს უწყობს პროცესის მიზნობრივ და ეფექტიან მართვას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერსებსა და პრიორიტეტებს კურიკულუმის შემუშავებისას. სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტმაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის

	ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.**ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული მათმატიკის კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება. მათემატიკის კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში, მასში ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა. მათემატიკის კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი და ასახავს იმ ძირითად თემებს, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო	საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე საბუნებისმეტყველო

მეცნიერებები	მიმართულების საგნების - ფიზიკა, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება ესგ-ის მიხედვით განსაზღვრული თემატური ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე მოახდენს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ფარგლებში. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კურიკულუმები სრულად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, რომელიც განსაზღვრავს უცხოური ენების სწავლების საერთო მიმართულებებსა და კომპეტენციებს. ამასთან, კურიკულუმი მორგებულია სკოლის სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო გარემოს მოთხოვნებს. კურიკულუმი ხელს უწყობს უცხო ენების პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რაც ასახავს სკოლის ღირებულებებს და აქტიურ საზოგადოებასთან ურთიერთობას; სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინდივიდუალურ მოსწავლეთა საჭიროებებს და მრავალფეროვან სწავლების სტილებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის მოქნილობას და ეფექტურობას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციური უნარების განვითარებას უწყობს ხელს და მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმოს, იმუშაოს გუნდურად, გააკეთოს დასკვნები და რეფლექსია. დავალებების შესრულების პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებში სწავლების სტრატეგიების გაცნობიერებას და პროგრესის შეფასებას, რაც თანხვედრაშია ეროვნული

	სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო ენის კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები - გრძელვადიანი მიზნები, საკითხები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს შემოქმედებითი ტიპის დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის და სხვა) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ, სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ძირითადი და დამატებითი/დამხმარე რესურსები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. რესურსები შერჩეულია მიზნობრივად, ითვალისწინებს როგორც მატერიალურ, ასევე მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს. მზაობაშია სასკოლო ლაბორატორია რესურსებით, გათვალისწინებულია ლაბორატორიის გამოყენების მეთოდური უზრუნველყოფა და უსაფრთხოების პრინციპების დაცვა. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ენების და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში რესურსების სვეტში ასახულია სასწავლო რესურსები, რომელიც საშუალებას იძლევა დამუშავდეს შემოქმედებითი ტიპის დავალება კონკრეტული საკითხის ფარგლებში. კურიკულუმებში წარმოდგენილი ვიდეო/აუდიო რესურსები მეთოდურად მორგებულია თემებსა და საკითხებზე. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც შექმნილია მოსწავლის საჭიროებების და განვითარების შესაბამისი დონეების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო რესურსები მოიცავს როგორც ტრადიციულ მასალებს, ასევე თანამედროვე ციფრულ რესურსებს და ტექნოლოგიებს, რაც ხელს უწყობს სწავლების მრავალმხრივ და ინტერაქციულ პროცესს. რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურობას და თანასწორ საგანმანათლებლო გარემოს. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან

	შესაბამისობაში. სკოლა აქტიურად ავითარებს და ნერგავს დამატებით რესურსებს, მათ შორის ენის პრაქტიკისთვის, კულტურული აქტივობებისთვის და მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ძირითადი რესურსი გრიფირებულია. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაციის წესი, რომლის მიზანია რესურსების მიზანშეწონილობის, სანდოობისა და ხარისხის უზრუნველყოფა. ვალიდაციის პროცესში გამოიყენება განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესაბამისი დეპარტამენტი განიხილავს რესურსებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი გამოყენების თაობაზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების შერჩევის გამჭვირვალე, სანდო და მიზანმიმართულ პროცესს, რაც სწავლის შედეგების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** ვიზიტის პერიოდში სკოლას მიიღო რჩევა, რომ სახვითი და გამოყენებით ხელოვნების კურიკულუმებში, ყველა თემის ფარგლებში იყოს რესურსები მითითებული, მუსიკის კურიკულუმებში კი - სახელმძღვანელოს გვერდები და სამინისტროს რესურსების შესაბამისი ბმულები. **არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც სრულად აისახა ექსპერტის მიერ გაცემული რჩევა. შესაბამისად, ექსპერტმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისი ცვლილებებით.**
სახელმწიფო ენა	სკოლის საგნობრივ კურიკულუმში იკითხება მრავალფეროვანი და საჭირო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** რჩევა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოშიც ყველა თემისთვის მიეთითოს სასწავლო რესურსები. **არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც სრულად აისახა ექსპერტის მიერ გაცემული რჩევა. შესაბამისად, ექსპერტმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისი ცვლილებებით.**

მათემატიკა	სკოლის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებულ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებული რესურსები: სახელმძღვანელოები: MYP მათემატიკა 2, MYP მათემატიკა 3, MYP მათემატიკა 4, MYP მათემატიკა 5 (გამომცემლობა: Pearson), ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (math.ge, flexbooks.ck12.org, ტელესკოლა და სხვა) წარმატებით უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაში მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები და სხვა), რომლებსაც პედაგოგები წარმატებით იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსი მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას საბაზო საფეხურის ბოლოს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით, პოზიტიურ სასწავლო გარემოსა და სიღმისეულ სწავლებასთან ერთად, ინკლუზიური განათლება სწავლა-სწავლების პრინციპია. სკოლას გაწერილი აქვს სსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. ბუნებისმეტყველების მიმართულების საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია შუალედური მიზნები და სასწავლო მიზნების მიღწევის განხვავებული გზები, ჩანს დიფერენეცირებული მიდგომები და სისტემური მონიტორინგი სემესტრის მანძილზე შუალედური და ფინალური გამოცდების დაგეგმვის სახით. სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელსა და პლატფორმა youtube ზე

	ასახულია მოსწავლეთა ინტერესების ამსახველი მრავალფეროვანი აქტივობები (საშუალო საფეხურის მოსწავლეების), რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ინკლუზიურობასა და დიფერეცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგთა მიერ შექმნილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ ენების და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი ახდენს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას და კურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, მასწავლებლები იყენებენ სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს, რათა დაეხმარონ ყველა მოსწავლეს სასწავლო მიზნების მიღწევაში. აღნიშნული საკითხი მოიცავს დავალებების შინაარსის, ფორმატის, სირთულისა და შეფასების მორგებას მოსწავლეთა ინდივიდუალურ დონესა და საჭიროებებზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მხარდაჭერა. უცხოური ენების სწავლებისას გამოიყენება ვიზუალური, აუდიო მასალები, საგანმანათლებლო თამაშები და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, რაც ზრდის ყველა მოსწავლის ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიღწევას და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას. კურიკულუმით გათვალისწინებული დავალებების ნაწილი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დავალების ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი სხვადასხვა ფორმით წარმოადგინოს, რაც ხელს უწყობს

	ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას და ქმნის დიფერენცირებულ და მოქნილ საგანმანათლებლო გარემოს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი მრავალფეროვანი დავალებები და მასწავლებელთან ინტერვიუ იძლევა საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, მოახდენენ დავალების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ყოველი კლასის კურიკულუმს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასწავლებლის მხრიდან თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლას შემუშავებული აქვს, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. მასწავლებელი გეგმავს განსხვავებული მოცულობის და ინტენსივობის ფიზიკურ დატვირთვას მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით სექციურ მუშაობას, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აირჩიონ, სპორტის რომელ სახეობაში სურთ უფრო აქტიური ვარჯიში. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძანება N02-57/მ; 26.12.2023წ.), რითაც დასტურდება სკოლის მზაობა ამ მიმართულებით. **ინდიკატორი**

	2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა საბუნებისმეტყველო საგნებში ითვალისწინებს შეფასების პრინციპებს, შესაბამისია საგნობრივი სასწავლო მიზნების, ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სახეებს, შეფასების სქემებში იკითხება კონკრეტული თემების სასწავლო მიზნებთან მიმართება. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** რჩევა: განმავითარებელი შეფასების სქემებში ასახეთ სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხობრივი გრადაცია შერჩეული დონეების მოკლე ვერბალური აღწერით და მიღწევის დონის დეფინიციით. **არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც სრულად აისახა ექსპერტის მიერ გაცემული რჩევა. შესაბამისად, ექსპერტმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისი ცვლილებებით.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ენების და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპებით. განმსაზღვრელ შეფასებას მინიჭებული აქვს ქულები, ხოლო განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის მიხედვით ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს და საჭირო უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას. შეფასების

	რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ესგ-ის პრინციპებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია ცოდნისა და უნარების არა მხოლოდ გაზომვაზე, არამედ განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის პრაქტიკაში, შეფასება ეფუძნება შემდეგ კომპონენტებს: **განმავითარებელი შეფასება**-სწავლების პროცესში მოსწავლის წინსვლის მონიტორინგი, ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და მიზნობრივი უკუკავშირი; **შუალედური და ფინალური შეფასება**-ცოდნის გაღრმავების დონის შემოწმება და მიზნების მიღწევის ანალიზი; **თვითშეფასება და თანაშეფასება**-მოსწავლის ჩართულობისა და პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა; **პროდუქტის შეფასება**-წერითი და ზეპირი ნამუშევრების, პროექტების, პრეზენტაციებისა და შემოქმედებითი აქტივობების შეფასება. შეფასების ფორმები და მეთოდები დაფუძნებულია მრავალფეროვნებაზე, სამართლიანობასა და სწავლაზე ორიენტირებულობაზე. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის უნარების და მიღწევების შეფასება ოთხივე ენობრივი კომპონენტში: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს: სწავლაზე ორიენტირებულობას, ინდივიდუალურ განვითარებაზე ზრუნვასა და მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. გამოიყენება შეფასების ორი ფორმა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, ისე მისი განვითარების დინამიკის გამოვლენას და მხარდაჭერას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ ნიმუშის სახით წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია მათემატიკაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდაა გაწერილი მათემატიკის ოთხივე მიმართულების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები. შეფასებები წარმოდგენილია ყოველ სასწავლო თემაში მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების მიხედვით შეფასების რუბრიკის სახით. მოცემული შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცესს, ამიტომ ვერ წარმოადგინეს (ჯერ არ განუხორციელებიათ) წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასების ნიმუშები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მოცემული რუბრიკების ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული თემების შესწავლის შეფასების დროს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლამ წარადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელის მიხედვით ფასდება როგორც მოსწავლეების ზოგადი ჩართულობა, აქტივობა, უსაფრთხოების წესების და თამაშის ძირითადი წესების დაცვა, ასევე თემების ფარგლებში ათვისებული ტექტიკური ელემენტების შესწავლის დონის შეფასება. შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკა (ბრძ. N02-16/მ; 10.09.2024წ);
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- წერილი სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტისგან სახელმძღვანელოების შეთანხმების შესახებ (MES 6 25 0000381354; 07/04/2025).
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება N02-28/მ; 30.06.2025წ.
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძანება N02-57/მ; 26.12.2023წ.);
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ლაბორატორიის ინვენტარის, სასწავლო რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- სპორტული ინვენტარის შესყიდვების დოკუმენტაცია;
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი https://oakleaf.edu.ge , fb გვერდი https://www.facebook.com/oakleafschooltbilisi ასევე პლატფორმა https://www.youtube.com/@oakleafschool

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით, იკითხება საგნობრივი კომპეტენციები, ძირითადი მიდგომები, სწავლა-სწავლების პრინციპები, შეფასება, სასწავლო პროცესის ორგანიზება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პერიოდში პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის გათვალისწინებით. სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა დიაგნოსტირების საფუძველზე, საჭიროებისამებრ ხდება სასწავლო კურიკულუმის მოდიფიცირება, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი საშუალო საფეხურზე აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს და იყენებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლების მექანიზმებს და გამოცდილების გათვალისწინებით გეგმავს ასეთივე წარმატებით დაგეგმოს პროექტები საბაზო საფეხურზეც. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლების პროცესის დაგეგმვა ემყარება სასკოლო კურიკულუმს, რომელიც

	შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი/ენის დონის გათვალისწინებით. კურიკულუმში გაწერილია კონკრეტული თემები, ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულები, ენობრივი და საკომუნიკაციო მიზნები, ასევე შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები და შემოქმედებითი ბუნების დავალებები. კურიკულუმები მოიცავს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, დიფერენცირებულ აქტივობებსა და ინტეგრირებულ სტრატეგიებს, რაც მოწმობს, რომ საგაკვეთილო პროცესი სისტემურად და მიზნობრივადაა დაგეგმილი. სწავლება მიმართულია როგორც ენობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, ისე კულტურათაშორისი ცნობიერების და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები, დავალებების ფორმატები და შეფასების სისტემაც უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, რაც ადასტურებს პროცესის შინაარსობრივ შესაბამისობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუების და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების მნიშვნელობა. მასწავლებლები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას, როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მოსწავლეზე ორიენტირებული მიზნების მიღწევის საშუალებას. სკოლას გააჩნია მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმოს და განხორციელოს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები (ნიმუშად საშუალო საფეხურიდან), რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ზუსტად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი შესაბამის კლასში შესასწავლი საკითხი/საკითხთა კლასტერი, მათი

	სწავლებისთვის საჭირო სასწავლო საგანმანათლებლო რესურსები. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა სწავლების შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (ბრძანება N02-37/მ; 15/09/2023წ.) დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში საჭიროებებზე მორგებულ პრევენციულ და ინტერვენციულ მექანიზმებს (მუხლი 18). ასევე სკოლის დებულებით განსაზღვრული პერსონალის სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს ურთიერთჩანაცვლების საკითხებს. პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლის სკოლაში ხანგრძლივად არყოფნის შემთხვევაში, თუ მისი მოვალეობების გადანაწილება ვერ ხერხდება შიდა კადრზე, მაშინ სკოლა უზრუნველყოფს სამუშაოზე არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას გარეშე პირით შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის დოკუმენტი (ბრძანება N02-57/მ; 26.12.2023წ.), რითაც დასტურდება სკოლის კონკრეტულ საჭიროებაზე რეაგირების მზაობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით. გარდა ამისა, სკოლა გეგმავს საბაზო საფეხურზეც გაანალიზოს მოსწავლეთა საჭიროებების გამოკითხვების, მოსწავლეთა თვითშეფასებების შედეგები, როგორც ამას საშუალო საფეხურზე იყენებს კურიკულუმების გასაუმჯობესებლად/გასავითარებლად. **ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი, ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ვერიფიკაციის წესი, საგნობრივი შეფასების სქემები ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიაში, ასევე მოსწავლის, მასწავლებლის კითხვარები, გაკვეთილზე დასწრების ფორმები, თვითშეფასების სქემები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასებას სხვადასხვა პერსპექტივით, რითაც მიიღწევა შეფასების სისტემის მთავარი პრინციპების დაცვა. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობისას და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დეპარტამენტი ახდენს ობიექტური შეფასების განხორციელებას. ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტმა წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლებმა ვიზიტის პერიოდში ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ შეფასების სისტემა და რუბრიკები მოსწავლეებისთვის ნაცნობია. ამასთან ერთად გამოვლინდა, რომ შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტად ვალიდურობისთვის პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით ქმნიან განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	შეფასება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი ფორმატებით, რომელიც მოიცავს: მიმდინარე შეფასებას; შუალედურ და ფინალურ გამოცდებს; თვითშეფასებას; პროდუქტის შეფასებას (პრეზენტაცია, სტატია, წერილობითი ნამუშევარი, როლური თამაში და სხვა). მოსწავლეთა შეფასება ემყარება მკაფიო კრიტერიუმებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ენობრივი უნარების (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) განვითარებას, ისე საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას, კულტურათაშორის კომპეტენციასა და სტრატეგიულ უნარებს. შეფასების ინსტრუმენტები (ტესტები, ვერბალური უკუკავშირი, პროექტული დავალებები და სხვ.) მიზანმიმართულად შეირჩევა მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, კურიკულუმში მითითებულია შეფასების სტრუქტურა, ინსტრუმენტები და

	მოლოდინები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. ვალიდურობას ამყარებს ის ფაქტი, რომ შეფასება ასახავს სწორედ იმ უნარებსა და ცოდნას, რაც სასწავლო მიზნებშია განსაზღვრული. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არსებული შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია თემის ფარგლებში და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კრიტერიუმები და დონეები ფორმულირებულია მარტივი და გასაგები ენით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ზუსტად გაიგონ, რას ელის მათგან მასწავლებელი და როგორ შეუძლიათ პროგრესის მიღწევა. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** რჩევა: სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების ყველა რუბრიკაში, თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა, რა შემთხვევაში იწერება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. **არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც სრულად აისახა ექსპერტის მიერ გაცემული რჩევა. შესაბამისად, ექსპერტმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისი ცვლილებებით.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. დეპარტამენტს აქვს მზაობა, შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის

	მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციისა და მოსწავლის შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი (ბრძანება N02-34/მ; 16.09.2024წ.), რომლის მიზანია: შეფასების სისტემის გამჭვირვალობის, სამართლიანობის, ვალიდურობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა; მოსწავლის პროგრესზე თვალყურის მიდევნება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; მასწავლებლის საჭიროების დადგენა მის მხარდასაჭერად; შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის ორგანიზება.

სასკოლო კურიკულუმის მიხედვით სკოლაში განმავითრებელ შეფასებათან ერთად განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებად განსაზღვრულია: მიმდინარე შეფასები, შუალედური გამოცდები და ფინალური გამოცდები.

როგორც დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიურებით დასტურდება, ვერიფიკაციას ექვემდებარება შუალედური და ფინალური გამოცდები. ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ან/და სკოლის დირექციის ინიციატივით შეფასების ნებისმიერ კომპონენტთან მიმართებით. ვერიფიკაციისა და მოსწავლის შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესის დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ვერიფიკაციის პროცესი და ამ პროცესში მონაწილე პირების ფუნქციები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს უნდა განხორციელდეს: შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით; მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება; მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება; შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება; შეფასების პროცესის სხვა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;

მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს ვერიფიკაციის პრაქტიკა საშუალო საფეხურზე და ამ გამოცდილებით გამოთქვამს სკოლა სრულ მზაობას ეფექტურად განახორციელოს ვერიფიკაციის პროცესი საბაზო საფეხურზეც. **ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციისა და მოსწავლის შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესით რეგულირდება (ბრძანება N02-34/მ; 16.09.2024წ.) სკოლაში მტკიცებულებათა დოკუმენტირებისა და შენახვის პროცესი. კერძოდ: მოსწავლეთა ნამუშევრები (ტესტები, პრეზენტაციები, პროექტები, პრატქიკული სამუშაოს ფოტოები, ესეები და სხვა) გროვდება დეპარტამენტის პორტფოლიოში. ყველა მტკიცებულება, რომელიც შეიძლება რომ გაციფრულდეს ან/და იყოს ციფრული, ინახება დრაივზე დეპარტამენტის პორტფოლიოში ან ფიზიკურად ასევე დეპარტამენტის პორთფოლიოში 3 წლის ვადით. ვიზიტის პერიოდში სკოლის უკვე განსაზღვრული ჰქონდა მტკიცებულებების შენახვისთვის საჭირო სივრცე, რომელიც დაცულია გარეშე პირისგან. სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ შეფასების მტკიცებულება დაცული იყოს როგორც პერსონალური მონაცემები. აღნიშნული წესით განსაზღვრულია ასევე მტკიცებულების განადგურების წესი, რომლის თანახმად, დრაივზე შენახული ან/და მატერიალურად შენახული მტკიცებულებების 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება და დგება შესაბამისი აქტი. განადგურებაში მონაწილეობს დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით და დეპარტამენტის თავმჯდომარე. **ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი;
- შპს ოქლიფის სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N02-37/მ; 15/09/2023წ.);
- შპს ოქლიფის სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ; 02.09.2025წ);
- შპს ოქლიფის სკოლაში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები (ბრძანება N02-57/მ; 26.12.2023წ.);
- შპს ოქლიფის სკოლაში ვერიფიკაციისა და მოსწავლის შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი (ბრძანება N02-34/მ; 16.09.2024წ.);
- ხარისხის მართვის პოლიტიკა (ბრძ. N02-16/მ; 10.09.2024წ);

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- დაკვირვების ფორმები და კითხვარები, თვითშეფასების ჩეკლისტები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საგნობრივი ჯგუფების მიერ დამუშავებულია და ჩაშენებულია საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადი და დამხმარე/დამატებითი რესურსები ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიაში, რაც სასწავლო მიზნების მიღწევაში დაეხმარება მოსწავლეებს. ძირითად რესურსებად განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე მასალის სახით სხვადასხვა კრებულები, გზამკვლევები, პოსტერები თუ სხვა ბეჭდური მასალა. დამატებით სასწავლო რესურსებს წარმოადგენს ასევე სასკოლო ლაბორატორიაში არსებული აღჭურვილობა, ქიმიური რეაგენტები. კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს მასწავლებლების მიერ წინასწარ შერჩეულ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი რესურსების (ვიდეო/ფოტო) მასალა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რასაც სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური ბაზით. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ**

	მოთხოვნებს.
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლაში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. ინგლისური ენის სწავლებისას გამოყენებულია თანამედროვე, ასაკსა და ენის დონეზე მორგებული რესურსი – Gateway to the World A2 (Macmillan Education), რომელიც უზრუნველყოფს თემატურად თანმიმდევრულ, ინტეგრირებულ ენის განვითარების კომპონენტებს. სწავლებისას აქტიურად გამოიყენება ონლაინ პლატფორმაც (macmillaneducationeverywhere.com), რაც საგაკვეთილო პროცესს მრავალფეროვანს ხდის. კურიკულუმში ინტეგრირებულია შემდეგი რესურსები: worksheets, wordlists, grammar tasks და აუდიო-ვიდეო მასალები. სასწავლო რესურსები მორგებულია დიფერენცირებულ მიდგომებზე და მიზნად ისახავს ოთხივე ენობრივი უნარის განვითარებას. გერმანული ენის სწავლებისას გამოყენებულია სერია Wir neu, რომელიც სისტემურად ავითარებს მოსწავლის ლექსიკურ, გრამატიკულ და კომუნიკაციურ კომპეტენციებს. რესურსად ასევე გამოყენებულია ბარათები, პოსტერები, აუდიომასალა და თემატურად შერჩეული YouTube-ს ვიდეოები, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულია როლური თამაშები, პრეზენტაციები, პროექტული სწავლება და დიალოგები, რაც ხელს უწყობს ენის გამოყენების პრაქტიკულ განვითარებას. შესაბამისად, როგორც ინგლისური, ისე გერმანული ენის სწავლებისას კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ და საგნობრივ თავისებურებებს და ახდენს რესურსების შერჩევას სასაწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლება ჯერ არ მიმდინარეობს, ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლას

	გააჩნია მზაობა რესურსების მიზანმიმართული გამოყენებისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე რესურსები, მაგალითად, სასწავლო წიგნები, ინტერნეტ რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** რჩევა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში ყველა კლასში ყველა თემისთვის დაკონკრეტდეს დამხმარე და ძირითადი რესურსები. **არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც სრულად აისახა ექსპერტის მიერ გაცემული რჩევა. შესაბამისად, ექსპერტმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისი ცვლილებებით.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებული რესურსები: სახელმძღვანელოები: MYP მათემატიკა 2, MYP მათემატიკა 3, MYP მათემატიკა 4, MYP მათემატიკა 5 (გამომცემლობა: Pearson), ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები (math.ge, flexbooks.ck12.org, ტელესკოლა და სხვა), მათემატიკური ელექტრონული პროგრამები (geogebra, desmos და სხვა.) ცნობილია პედაგოგებისთვის და ყველა რესურსი წარმატებით იქნება გამოყენებული სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლა მზად არის გამოიყენოს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შექმნილია სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი, შერჩეულია კრიტერიუმები, რითაც განისაზღვრება სასწავლო რესურსის შესაბამისობა. სასწავლო წლის განმავლობაში

	შერჩეულმა სასწავლო რესურსებმა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიაში გაიარა ვალიდაცია, შემაჯამებელ სხდომაზე მოხდა წარდგენა, დეპარტამენტმა იმსჯელა და შედეგად შერჩეულ რესურსებს მიენიჭა დამხმარე/დამატებითი სასწავლო რესურსის სტატუსი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების მობილიზება და მათი გამოყენება. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმები. ასევე სკოლაში სასწავლო დამატებითი რესურსების სახით იგეგემება პედაგოგების/მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტების გამოყენება, როგორც ამას სკოლა საშუალო საფეხურზე ახორციელებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	შპს ოქლიფის სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი (ბრძ. N02-10/მ; 02.09.2024წ), რომლის მიზანიცაა: სასწავლო რესურსების მოძიება, შეგროვება; მოძიებული რესურსის დეპარტამენტის სხდომაზე წარდგენა განსახილველად; დეპარტამენტის სხდომაზე წარდგენილი რესურსების შეფასება (ვალიდირება ან ვალიდაციაზე უარის თქმა). ენებისა დასაზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში უცხოური ენების სწავლებისას აქტიურად გამოიყენება დამხმარე სასწავლო რესურსები: თემატური სამუშაო ფურცლები, ლექსიკის სიები, ინტერნეტპლატფორმები (მაგ., macmillaneducationeverywhere.com, YouTube არხები), აუდიო-ვიდეო მასალები და ვიზუალური მასალები (პოსტერები, ბარათები). დამხმარე რესურსები შერჩეულია საგნობრივი კურიკულუმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას სწავლების მიზნებთან, ასაკობრივ და ენობრივ დონესთან. როგორც ინგლისური, ისე გერმანული ენის კურიკულუმში მითითებულია კონკრეტული პლატფორმები, თემატურად მორგებული ვიდეოები და სავარჯიშო მასალები, რაც ადასტურებს, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა ეფუძნება სისტემურ მიდგომასა და წინასწარ

	დადგენილ კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას დამტკიცებული აქვს „სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და შეფასების ეტაპებს. დეპარტამენტის სხდომაზე რესურსები ფასდება ხარისხის, მიზნობრიობისა და სანდოობის თვალსაზრისით. შეფასება ეფუძნება ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა, შინაარსის სიზუსტე, თანამედროვე და გასაგები ენა, ასაკთან შესაბამისობა, მრავალმხრივი ხედვის წახალისება, ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა. პროცესი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო რესურსები იყოს მიზანმიმართული, შინაარსობრივად ღირებული და მოსწავლეებისთვის მარტივად აღქმადი. წარდგენილი ვალიდაციის ოქმები ადასტურებს, რომ ვალიდაციის პროცესი რეალურად ხორციელდება სკოლაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	მითითებული რესურსებიდან იკვეთება და მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რომ ის აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი ასაკის, თემის. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები: math.ge, flexbooks.ck12.org, ტელესკოლა და სხვა, მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos და სხვა. ყველა კურიკულუმი შემუშავებულია დეპარტაენტის წევრების ჩართულობით. შესაბამისად, მათში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	დამხმარე საგანამანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი დეპარტამენტის შეხვედრების ფარგლებში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

დაწყებითი საფეხური	

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი, მათ შორის სასკოლო ლაბორატორია და სკოლის ბაზაზე ლაბორატორიული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას, რაც დაგეგმილია საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმით საბაზო საფეხურზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია ყველა იმ სახის მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორით და სხვა მსგავსი ტიპის ტექნიკურ-მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლაში უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ისეთი მატერიალური ბაზის პირობებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები (Gateway to the World, Wir neu) და მათთან დაკავშირებული ვიზუალური, აუდიო, წერითი და ელექტრონული რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. საგაკვეთილო პროცესისთვის სკოლა უზრუნველყოფს: ვიზუალური მასალებით (პოსტერები, ბარათები); ციფრული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას (ინტერნეტი, კომპიუტერი/პროექტორი); ინდივიდუალური და წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი მატერიალური რესურსით. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს

	შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ პროექტორი, დინამიკები და სხვა დამხარე რესურსები. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სკოლას აქვს მზაობა, საჭირო სივრცე და საკმარისი მატერიალური რესურსი, რათა სასწავლო პროცესი მიზნების შესაბამისად განახორციელოს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	როგორც დეპარტამენტის წევრებმა აღნიშნეს, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სპორტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები: math.ge, flexbooks.ck12.org, ტელესკოლა და სხვა, მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos და სხვა. სკოლას აქვს ინტერნეტი, ყველა სასწავლო ოთახი აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი ლეპტოპები. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევისთვის ყველა პედაგოგი და მოსწავლე უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას გააჩნია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული თემების ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი (მაგ., ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის ბურთები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე და სხვ.). სკოლამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება დახურული სპორტული მოედნის სარგებლობასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

შპს ოქლიფის სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ. 2.09.2024წ), რომელშიც გაწერილია ყველა სტრუქტურული ერთეულის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლებშიც ინახებოდა შინაგანაწესით (მუხლი 6) განსაზღვრული დოკუმენტები. კერძოდ: პირადობის მოწმობის ან მოქალაქის პასპორტის ასლი, მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში-ბინადრობის მოწმობის ასლი; ავტობიოგრაფია; განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი; სპეციალური ცოდნის ან მომზადების/გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაბამისი სერტიფიკატებით); უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ'', საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელი. კერძოდ: უფროსი მასწავლებელი-6, წამყვანი-2, მაძიებელი-5, მოწვეული-10. მასწავლებლები შერჩეულები არიან კონკურსის საფუძველზე, ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. **ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თსუ-სთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება N244/08; 20.03.2025წ.
- პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;

- შპს ოქლიფის სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ. 2.09.2024წ);
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- emis-ის ბაზის მონაცემები;
- შინაგანაწესი;
- შპს ოქლიფის სკოლაში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები (ბრძანება N02-57/მ; 26.12.2023წ.);
- შპს ოქლიფის სკოლაში ვერიფიკაციისა და მოსწავლის შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი (ბრძანება N02-34/მ; 16.09.2024წ.);
- ხარისხის მართვის პოლიტიკა (ბრძ. N02-16/მ; 10.09.2024წ);
- ვალიდაციის წესი (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ);
- შეფასების რუბრიკები;
- შემოქმედებითი დავალების მოსწავლის ბარათები(მათემატიკა);
- დაკვირვების ფორმები და კითხვარები, თვითშეფასების ჩეკლისტები;
- საგნობრივი დეპარტამენტების ოქმი N4;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.) დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი მონიტორინგის ინსტრუმენტები, რაც სასწავლო პროცესში კომპლექსურად გამოიყენება. მაგ: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას უშუალოდ სასწავლო პროცესში; კურიკულუმის ეფექტურობასთან დაკავშირებით საბაზო საფეხურზე იგეგმება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა; მოხდება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შეფასება, კერძოდ მიმდინარე, შუალედურისა და ფინალური გამოცდის. სკოლაში მოქმედი ორი დეპარტამენტის ფარგლებში სხდომებზე იგეგმება კურიკულუმის დანერგვის პროცესი, შესაბამისად, ეს გულისხმობს დეპარტამენტის მასალების მონიტორინგსაც. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა თვითშეფასებები, რაც ასევე კარგი ინდიკატორია კურიკულუმის ეფექტურობის გასაანალიზებლად. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა საბაზო საფეხურის მონიტორინგისთვის კითხვარები, გაკვეთილის შეფასების ფორმები. ამასთანავე საგულისხმოა, რომ მსგავსი გამოცდილება სკოლას უკვე აქვს საშუალო საფეხურზეც.

პედაგოგებთან და დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის აკადემიურ პერსონალს გააზრებული აქვს მონიტორინგის მექანიზმის საჭიროება. მონიტორინგი არის უწყვეტი პროცესი, რომლის დროსაც მიმდინარეობს სწავლების და ზოგადად სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს/სკოლას თვალყური ადევნოს, როგორ მიმდინარეობს სწავლა, რა არის საჭირო კორექტირებისთვის და რა ეხმარება მოსწავლეებს უკეთესი შედეგების მიღწევაში. ის საშუალებას იძლევა წინასწარ გამოვლინდეს ნებისმიერი სირთულეები ან პრობლემები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგებზე. **ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს

ფარგლებში და აქვს თუ არა დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ რადგანაც სკოლას ჯერ არ ჰყავს საბაზო საფეხურის მოსწავლეები, გამოთქვეს მზაობა, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. მათი ხედვით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღვოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებული იქნება მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. მონიტორინგის და შეფასების შედეგები აისახება ხარისხის ჯგუფისა და დეპარტამენტის ოქმებში და გამოიყენება კურიკულუმების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

შეფასება წარმოადგენს მონიტორინგის შედეგს, რომელიც საბოლოოდ უკავშირდება მოსწავლის მიღწევებს. შეფასების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს განვითარებისათვის შესაბამის რეკომენდაციებს, დაადგენს ვის სად და როგორ სჭირდება დახმარება - იქნება ეს ტრენინგი, ემოციური მხარდაჭერა თუ მასალების მიწოდება და სხვა. შეფასება და მონიტორინგი სკოლისთვის შეიძლება გახდეს ცვლილების დასაწყისი. აღნიშნული საჭიროება გარკვეულწილად აისახება სკოლის სამოქმედო გეგმაშიც მაგ: ტრენინგის დაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამუშაო შეხვედრებს ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოსწავლეთათვის რემედიაციის პროგრამის შემუშავება და სხვ. **ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.);
- საგნობრივი დეპარტამენტის დებულება;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი დეპარტამენტის ოქმები;
- კითხვარების ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში შეფასების სისტემა სხვადასხვა მიმართულებით იგეგმება, თუმცა ეს გამოცდილება დაწესებულებას უკვე აქვს საშუალო საფეხურზეც. შეფასება შეიძლება განხორციელდეს: საგაკვეთილო პროცესზე შესაბამისი რუბრიკის მიხედვით, რომლითაც მოწმდება მოსწავლეთა ჩართულობა, სასწავლო რესურსების საკითხთან შესაბამისობა, თავად მასწავლებლის კომპეტენცია, სწავლების სტრატეგია და სხვ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შუალედური გამოცდების და ფინალური გამოცდების ანალიზს, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ, უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასევე მოსწავლეს-დაფიქრდეს თავის აკადემიურ შედეგებზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია უკუკავშირის მისაღებად სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარის ფორმები, რაც ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა. მათ შორის შეფასების სისტემის ინსტურმენტად განიხილება ასევე მოსწავლეთა და მასწავლებელა თვითშეფასებებიც. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ჯერ არ ჰყავს საბაზო საფეხურის მოსწავლეები, განხორციელების პროცესი ვერ შეფასდება, თუმცა სკოლას საშუალო საფეხურზე გამოცდილების საფუძველზე აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი მოტივაცია, საგნის სწავლების სპეციფიკა (სტრატეგიები, მეთოდები), საგნის საათობრივი დატვირთვა საკმარისია თუ არა დრო სასურველი შედეგების მისაღწევად, ასევე გასათვალისწინებელია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. შეფასებისას არანაკლებ მნიშვნელოვანი მოსწავლეთა წინარე ცოდნის არსებობა, კლასის ზოგადი აკადემიური დონის გათვალისწინება.

მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ გაითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება მიექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში კურიკულუმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ შეფასებისთვის სკოლა საბაზო საფეხურზე გამოიყენებს ისეთ მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება (მაგ: გაკვეთილზე დაკვირვება), კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შუალედური და ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. ასევე გამოიყენება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერიუ, ფოკუსჯგუფი, ტესტირება. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შუალედური გამოცდის დავალებების ნიმუში (საშუალო საფეხურის), რომელსაც ახლდა წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლემ იცის შეფასების მიზანი, კრიტერიუმები დავალების შესრულებამდე. ამასთანავე, მოსწავლეს აქვს საშუალება თვითშეფასების გზით გააანალიზოს საკუთარი ცოდნა და პროგრესი, შეფასება მოიცავს განმავითარებელ, კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულება წინასწარ განსაზღვრავს როგორი და რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის პროცესის/შედეგის დასანახად.

პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოკითხვით დგინდება, რომ სკოლაში ჩატარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, რომლის მიზანია სკოლის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, მოლოდინებისა და პრიორიტეტების გამოვლენა, ასევე სწავლების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას იმისათვის, რომ უკეთესად წარიმართოს სასწავლო პროცესი სკოლაში. სკოლაში საშუალო საფეხურზე იყენებენ Google forms-ზე კითხვარებს. იყენებენ დაკვირვებას, ტესტირებას, ინტერვიუს და ა.შ. რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, შეფასება არის ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მონაცემთა შეგროვებისას მასწავლებლები ეყრდნობიან პირად ჩანაწერებს, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკებს, ჩეკლისტებს და ა.შ. დაწესებულებამ ამისთვის წინასწარ შეიმუშავა ფორმები საბაზო საფეხურისთვისაც, რაც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შუალედური და ფინალური გამოცდების ანალიზები და საგნის მასწავლებლის ანგარიშებიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური შედეგების იდენტიფიცირებას, ასევე მიმდინარე შეფასებების შედეგები. სასკოლო საზოგადოება იზიარებს იმ მიდგომას, რომ მოსწავლეზე და მათ სასწავლო გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემო პირობები, რომელიც შექმნილია სკოლაში, არამედ სხვადასხვა ფაქტორები. ამიტომ ფიქრობენ, რომ შეფასებისას მოხდეს ამ ფაქტორის გათვალისწინება. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე. ინდივიდუალურად შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება. პედაგოგებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: მოსწავლის მოტივაცია, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, მიღწეულ შედეგები და სხვ. გამომდიანრე იქიდან, რომ სკოლას ჯერ არ ჰყავს საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ამიტომ შეფასების განხორციელების შესახებ მსჯელობა შესაძლებელია დაწესებულების მზაობისა და საშუალო საფეხურზე გამოცდილების მიხედვით. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.);
- საგნობრივი დეპარტამენტის დებულება;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი დეპარტამენტის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კითხვარების ფორმები.
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლაში კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ვიზიტის პერიოდში პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამიკვეთა, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა სწავლებას ახორციელებს საშუალო საფეხურზე და აქვს გამოცდილება კურიკულუმის განვითარების პროცესში, საბაზო საფეხურზეც გეგმავს ამ

გამოცდილებით შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები, რომელთა შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი. **ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის, ასევე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. მასწავლებლებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებამდე მოხდება განვლილი პროცესების გაანალიზება, დეპარტამენტის წევრები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მუშავდება ახალი კურიკულუმი. შესაბამისად კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და მასში ასასხული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. **ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N02-10/მ; 02.09.2024წ.);
- შპს ოქლიფის სკოლის დებულება (ბრძანება N02-07/მ; 02.09.2025წ);
- საგნობრივი დეპარტამენტის დებულება;
- სასკოლო კურიკულუმი;
- შპს ოქლიფის სკოლაში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები (ბრძანება N02-57/მ; 26.12.2023წ.);
- შპს ოქლიფის სკოლაში ვერიფიკაციისა და მოსწავლის შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი (ბრძანება N02-34/მ; 16.09.2024წ.);
- ხარისხის მართვის პოლიტიკა (ბრძ. N02-16/მ; 10.09.2024წ);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- დაკვირვების ფორმები და კითხვარები, თვითშეფასების ჩეკლისტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 18.07.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: